ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4305174

ნომერი: AR1648522

თარიღი : 06.12.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 17.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის ჩიხი , N 20 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , რკინიგზის ჩიხი , N 20 ; ქალაქი თბილისი , სამხედრო საწყობი (ჩიხი) , N 20 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ჩიხი რკინიგზის , ნაკვეთი 02/180 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 61 ; ქალაქი თბილისი , კახეთ. გზატ. სამხ. ჩიხი N20 გ N10; ქალაქი თბილისი , რკინიგზის ჩიხი N20-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟორჟოლიანი პ/ნ 01022014472
- ფეიქრების 14 გ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30

ნოემბრის №4285539 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 06 დეკემბერს NAR1648522 განცხადებით მომართა გიორგი ჟორჟოლიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4285539 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4285539 ბრძანებით დადასტურდა „ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი, N20/ ქალაქი თბილისი, სამხედრო საწყობი (ჩიხი), N20/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ჩიხი რკინიგზის, ნაკვეთი N2/180/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N61/ ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი სამხ. ჩიხი N20ბ N10-ში (ს/კ N01.19.21.002.379) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობის რეკონსტრუქცია - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ19/01182181387-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4285539 ბრძანების ტექსტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.19.21.002.411-ის ნაცვლად დაფიქსირებულია N01.19.21.002.379. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N892018569884, მომზადების თარიღი: 03/07/2018 10:57:32) თანახმად, N01.19.21.002.378, N01.19.21.002.379 და 01.19.21.002.404 მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა N01.19.21.002.411 საკადასტრო ერთეული. სამსახურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4285539 ბრძანებით დადასტურება განხორციელდა N01.19.21.002.411 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.
განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4285539 ბრძანების ტექსტში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ19/01182181387-17 ბრძანების სათაურის ციტირებაა მოყვანილი (კერძოდ: „ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი, N20/ ქალაქი თბილისი, სამხედრო საწყობი (ჩიხი), N20/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ჩიხი რკინიგზის, ნაკვეთი N2/180/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N61/ ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი სამხ. ჩიხი N20ბ N10-ში (ს/კ N01.19.21.002.379) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობის რეკონსტრუქცია - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“). შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ19/01182181387-17 ბრძანებაშია დაფიქსირებული N01.19.21.002.379 საკადასტრო კოდი. ხოლო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №4285539 ბრძანების ტექსტი ტექნიკურ ხარვეზს არ შეიცავს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ19/01182181387-17 ბრძანება წარმოადგენს არა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, არამედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2018 წლის 31 ოქტომბრის Nბ19/01182181387-17 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.